კონფიდენციალობის პირობები, რათა მათ შეძლონ საჩივრების შეტანა შიშის გარეშე. ასევე საჭიროა არსებობდეს: უფასო ცხელი ხაზი სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის, სპეციალური მანქანები, რომელებიც ემსახურება გენდერის განყოფილებებს; სასწრაფო დახმარების მანქანები; ცალკე ოთახები სამედიცინო შემოწმებისა და დაკითხვებისათვის;

– დაკითხვის მეთოდებმა და ანგარიშების ფორმებმა და კითხვარებმა არ უნდა შელახონ ქალების ღირსება (მაგ. „ქალწულობის შემოწმებით“) და არ უნდა მიაყენონ მათ ხელახალი ტრავმა. სექსუალური თავდასხმისაგან თავდაცვის საშუალებები ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

ქალთა ჩართვა და გენდერული ფაქტორის გათვალისწინების უზრუნველყოფა გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის პროცესში

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა მოიცავს არა მარტო კანონების რეფორმირებას, არამედ პოლიტიკის, პროცედურებისა და მექანიზმების ჩამოყალიბებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქალთა და გოგონათა საჭიროებების და პრიორიტეტების გათვალისწინებას, კერძოდ კი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას; ეს პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს:

– ქალთა ჯგუფების, როგორც ძირითადი პარტნიორების, ჩართვას მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის პროცესში;
– ადამიანის უფლებების საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების, მათ შორის, გაეროს ქალთა წინააღმდეგ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის განხორციელებას;
– სასამართლო პროცედურების და პრაქტიკის რეფორმას, რათა არ მოხდეს ქალებისა და გოგონების პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაცია;
– მოსამართლეების, პროკურორების, სხვა იურისტების და სასამართლოს პერსონალის მხრიდან დისკრიმინაციის აღმოფხვრას მართლმსაჯულების სექტორში;
– იურიდიულ დახმარებას ქალებისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საკუთრების შეძენა მინაზე, მემკვიდრეობა და გენდერული თანასწორობა.

თუ თვლით რომ თქვენი, როგორც ქალის უფლებები დაირღვა აღნიშნული რეზოლუციებით გათვალისწინებულ სფეროებში, ან სხვა ნებისმიერი გზით;

თუ გსურთ, გაიზარდოს თქვენი, როგორც ქალის, მონაწილეობა მშვიდობისა და უსაფრთხოების, მართლმსაჯულებისა და პოლიციის სექტორის რეფორმირების პროცესებში;

თუ თვლით რომ გჭირდებათ გაძლიერება, თქვენი როგორც ქალი ლიდერისა თუ საზოგადოებრივი ინიციატივის ავტორის კუთხით.

შეგიძლიათ მომართოთ საქართველოს სახალხო დამცველს.

დაირღვა

თქვენი უფლებები?

მიმართეთ

სახალხო დამცველს!

საქართველოს
სახალხო
დამცველი

ზუგდიდის ოფისი
კოსტავას ქ. №58

ტელ.: (+995 32) 2 23 44 99
(+995) 77 50 52 34
(+995) 99 47 38 31

www.ombudsman.ge

გამოიცა სახალხო დამცველის აპარატის მიერ
გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)
„ადამიანური უსაფრთხოებისა და სოციალური
ინტეგრაციის პროექტის“ ფარგლებში ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

UNDP

Empowered lives.
Resilient nations.

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

საქართველოს
სახალხო
დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველი და ქალთა უფლებების დაცვა

ქალთა უფლებების დაცვა, საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს, რომლის უზრუნველყოფადაც შექმნილია გენდერული თანასწორობის ცენტრი. ეს უკანასკნელი ახდენს რეგირებას ქალთა უფლებების დარღვევების ყოველდღიურ ფაქტებზე, ახორციელებს რეგულარულ მონიტორინგს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის დაცვის მექანიზმების ეფექტურ მუშაობაზე და ანარმოებს აქტიურ საგაზმნათლებლო კამპანიას ქალთა უფლებების შესახებ საქართველოს მასშტაბით.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების გაეროს რეზოლუციების განხორციელება აღნიშნული პროცესების ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 27 დეკემბრის №5622-რს დადგენილებით დამტკიცდა „ქალებზე, მშვიდობაზე და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №1325, 1820, 1888,1889 და 1960 რეზოლუციების განხორციელების 2012-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“.

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ 2011 წლის 31 მარტს შექმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების №1325, 1820, 1888, 1889 და 1960 „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური მხარდაჭერით. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებული იყო შესაბამისი სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისგან. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი იყო საკმაოდ თანამონაწილეობითი და ღია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალთა ჯგუფების მონაწილეობისათვის. გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს მიერ ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან მათთვის პრობლემური საკითხების განხილვისა და გეგმაში შესაბამისი გათვალისწინებისათვის.

წინამდებარე ბროშურის მიზანია, მოკლედ გადმოსცეს გაეროს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების რეზოლუციების ძირითადი მიზნები და სამუშაო აქცენტები, რათა საქართველოს მოსახლეობამ შეძლოს მათი რეალიზაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში, ქვეყანაში სამშვიდობო პროცესების მხარდაჭერისა და მათში, ქალთა მონაწილეობის გაზრდის გზით.

რას შეეხება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოებას თემაზე?

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გაეროს უშიშროების საბჭომ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ხუთი რეზოლუცია მიიღო. ეს რეზოლუციები ყურადღებას ამახვილებს შეიარაღებული კონფლიქტების განსაკუთრებულ ზეგავლენასა და შედეგებზე ქალებსა და გოგონებზე. ისინი შეიცავს მითითებებს, წევრი სახელმწიფოების და სხვა ორგანიზაციების მიმართ, რათა გათვალისწინებულ იქნას ქალთა და გოგონათა საჭიროებები შეიარაღებული კონფლიქტების მიმდინარეობისას და მათი დასრულების შემდეგ და ხელი შეეწყოს მათ გაძლიერებას. რეზოლუციები მოუწოდებს სახელმწიფს უზრუნველყონ ქალების ჩართვა მშვიდობის შენების პროცესში და საგანგებოდ აღნიშნავს კონფლიქტების მიმდინარეობისას ქალთა და გოგონათა სექსუალური ძალადობისგან დაცვის აუცილებლობას.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე:

რეზოლუცია 1325 (2000 წლის), რეზოლუცია 1820 (2008 წლის), რეზოლუცია 1888 (2009 წლის), რეზოლუცია 1889 (2009 წლის) და რეზოლუცია 1960 (2011 წლის).

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განხორციელების გზები

ქალთა მონაწილეობა უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში:

მნიშვნელოვანია გაიზარდოს ქალთა წარმომადგენლობა და მონაწილეობა უსაფრთხოების საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კერძოდ:

- ჩატარდეს კონსულტაციები ქალთა ორგანიზაციებთან და სხვა, არასამთავრობო თუ სამთავრობო უწყებების ქალ წარმომადგენლებთან. მათ შორის, სათემო და ეროვნული უმცირესობების ჯგუფებთან. კონსულტაციები უნდა ტარდებოდეს ქალებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში და ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ ტრანსპორტთან და ბავშვების მოვლის შესაძლებლობით.

ქალები უნდა იყვნენ ჩართულნი უსაფრთხოების სექტორის ისეთ ზედამხედველ ორგანოებში, როგორიცაა სამინისტროები, შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტები, ადამიანის უფლებების კომისიები. აღნიშნული შეიძლება მიიღწეს შემდეგი ღონისძიებებით:

- ქალი პარლამენტარების დანიშვნა, საჭიროების შემთხვევაში დროებითი სპეციალური ღონისძიებების კვოტების გამოყენებით;
- ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე მუშაობისა და მონიტორინგის პროცესებში ქალთა საპარლამენტო კავშირებთან თანამშრომლობა;
- მოსმენებზე ქალთა სათემო ლიდერების მოწვევა.

ქალთა მონაწილეობა სამშვიდოო მოლაპარაკებებში და ქალთა სამშვიდოო ინიციატივების მხარდაჭერა

- ქალები ჩართულნი უნდა იყვნენ მედიატორულ ჯგუფებში, მათ შორის საოამრი მოქმედებების შეჩერების, ცეცხლის შეწყვეტის, გაწინარალების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის საკითხებზე, რათა აღნიშნული ინიციატივები ითვალისინონებდნენ ბრძოლას კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ და მის პრევენციას კონფლიქტის შემდგომ პერიოდში.
- ქალები უნდა ჩაერთონ ოფიციალურ სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეებთან კონსულტაციების პროცესებში, თემის დონეზე ხელი უნდა შეეწყოს ქალთა ჩართვას მშვიდობასა და ნდობის აღდგენაზე ორიენტირებულ ინცინდენტების პრევენციის მექანიზმებში.
- უნდა მოხდეს თემის დონეზე შერიგების და ნდობის აღდგენის პროცესში ქალთა ჩართვა, ეს ინიციატივები ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს მართლმსაჯულებისა და პოლიციის რეფორმასთან.

ქალთა მონაწილეობა თავდაცვის რეფორმის სისტემაში

- გაიზარდოს თავდაცვის ინსტიტუტებში ქალთა წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროგრამები ითვალისწინებდნენ გენდერულ ფაქტორებს.
- განხორციელდეს შეიარაღებული და უშიშროების სამსახურების შემოწმება სექსუალური ძალადობისა და საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამართლის სხვა დარღვევების გათვალისწინებით.

სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობა გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით

პოლიციის რეფორმა არის პოლიციის ორგანიზების შეცვლა ან ტრანსფორმირება პროფესიონალურ და ანგარიშვალდებულ სამსახურად, რომელიც მნიშვნელოვანია ითვალისწინებდეს გენდერულ ასპექტებს; ამავე დროს, მნიშვნელოვანია მოხდეს პოლიციის ინსტიტუციებში გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობის გაზრდა, რათა უზრუნველყოფილი იყოს:

- პოლიციის საქმიანობაში ქალებისა და გოგონების უფლებათა დაცვა და პატივისცემა;
- სექსუალური და გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა;
- იმ პირთა დევნა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ქალთა და გოგონათა წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობაზე შეიარაღებული კონფლიქტის, გენოციდის, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი და ომის დანაშაულების დროს;
- პოლიციას უნდა ჰქონდეს სპეციალური მანდატი და შესაბამისი აღჭურვილობა, რათა შეძლოს მოწყვლადი მოსახლეობის, მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირების, ლტოლვილებისა და ეთნიკური თუ სექსუალური უმცირესობების დაცვა გენდერული ძალადობისგან;
- პოლიციას უნდა ესმოდეს ქალის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, დონე და სიმძიმე და სერიოზულად მოეკიდეთს პრევენციის, დაცვისა და გამოძიების ფუნქციას.

კონფლიქტის კონტექსტში ჩადენილი სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება და დაცვა:

რეზოლუციების ეფექტურად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს:

- სპეციალური პოლიციის დანაყოფები, რომლებიც იმუშავებენ კონფლიქტის თუ მშვიდობიანობის დროს ჩადენილ სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე;
- შეიქმნას სტრატეგიული გეგმები სექსუალური ძალადობის დანაშაულების გამოსავლენად და გამოსაძიებლად;
- ამ მიზნით შეიქმნას სექსუალური ძალადობის საქმეებზე რეაგირების სახელმძღვანელო მითითებები. რეაგირების დროს უნდა მოხდეს მსხვერპლის უზრუნველყოფა ფსიქოლოგიური და სამედიცინო მომსახურებებით, უსაფრთხო საცხოვრებლით, უფასო იურიდიული დახმარებით და სხვა შესაბამისი მომსახურებით;
- უზრუნველყოფილ უნდა იქნას მსხვერპლთა უსაფრთხოებისა და

საქართველოს სახალხო დამცველს ბატონ უჩა ნანუაშვილს

მონაცემები განმცხადებლის შესახებ

სახელი: _____

გვარი: _____

მისამართი: ქალაქი (რაიონი): _____ ქუჩა: _____ № _____

ტელეფონი: _____ ელ-ფოსტა: _____

განცხადება

თარიღი: _____ წელი, თვე, რიცხვი

განმცხადებლის ხელმოწერა: _____